ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №122

დ. ასპინძა **10 სექტემბერი 2014 წ.**

ერთის მხრივ ასპინძის მუნიციპალიტეტი, მისი წარმომადგენელი

გამგებელი ლევან ცაბაძე(შემდეგში შემსყიდველი): დაბა ასპინძა თამარის ქ№3

და მეორე მხრივ შპს „სტაგი პრინტი" დირექტორი ალექსანდრე სულავა (შემდგომში მიმწოდებელი). ქ. თბილისი, თაბუკაშვილისქ.№29

მათ შორის მიღწეული იქნა ურთიერთშეთანხმება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების ობიექტის დასახელება

1.1. **CPV22300000** წარმომადგენლობითი ხარჯებიდან. სახალხო დღესასწაულ შოთაობისათვის აფიშების შეძენა.(წარმომადგენლობითი ხარჯები)

2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

2.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის ღირებულება შეადგენს 525 (ხუთას ოცდა ხუთი) ლარს, ორმოცდაათი ცალი. (ერთი ცალის ფასია ათი ლარი და ორმოცდაათი თეთრი).

3. სამუშაოების შესრულების ეტაპები და ვადები.

3.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან.
3.2. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს საქონელი 2014 წლის 19 სექტემბრამდე.
3.3. ხელშეკრულება ძალაშია 2014 წლის 19 ოქტომბრამდე.

4. მიღება-ჩაბარების წესი.

4.1. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
4.2. მიღება-ჩაბარებაზე პასუხისმგებელია ასპინძის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციისა და საკადრო მუშაობის სამსახურის განყოფილება მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხებში.

5. შესყიდვის ობიექტის ხარისხი.

5.1. მიმწოდებლის მიერ მიწოდებული საქონელი უნდა იყოს ხარისხიანი და ექვემდებარებოდეს სახელმწიფო სტანდარტებს.

6 ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

6.1. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდოდ.
6.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიწოდებული საქონლის შემდეგ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ანაზღაურებისათვის საჭირო დოკუმენტაციის სრული წარმოდგენიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

7 მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას საქონლის მიწოდების პროცესში გაითვალისწინოს შემსყიდველის ყველა შენიშვნები.

8 მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ან არაჯეროვანი შესრულების შედეგად მიყენებული ზარალისათვის მხარეები ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9 ფორს მაჟორი

9.1. ხელშეკრულების დამდები, რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს მაჟორული გარემოების პროცესში.

9.2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულებების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

10 დავების გადაწყვეტის წესი

10.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

10.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან ოცდაათი დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხების მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართონ სასამართლოს.

11 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

11.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულებების ფასის გარდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება დაუშვებელია.

11.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11.5. მხარეები იღებენ ვალდებულებას შეატყობინონ ერთმანეთს აღნიშნული ხელშეკრულების პირობების შესახებ არაუგვიანეს 3 დღისა.

ყოველივე ზემოთთქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მიღებულ დღესა და წელს.

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ოთხ ეგზემპლარად და ~~ოთხივეს~~ გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

შემსყიდველი: ასპინძის მუნიციპალიტეტი, მისი წარმომადგენელი
გამგებელი ლ. ცაბაძე

ხელმოწერა .....

ბ.ა.

საბანკო რეკვიზიტები:
ასპინძის მუნიციპალიტეტი
საინდიფიკაციო კოდი 223105155
ბანკი- ს/ს „ლიბერთი ბანკი"-ს ასპინძის ფილიალი.
კოდი LBRTGE22 (451)
ა/ა GE48LBO120141752740000

მიმწოდებელი: შპს „სტაგი პრინტი"დირექტორი ა. სულავა
ქ. თბილისი, თაბუკაშვილის №29

ხელმოწერა .....

ბ.ა.

საბანკო რეკვიზიტები:
შპს „სტაგი პრინტი"
საინდიფიკაციო კოდი 404982587
ბანკი- ს/ს „საქართველოს ბანკი"-ს ცენტრალური ფილიალი
კოდი BAGAGE22
ანგარიშსწორების ანგარიში GE90BG0000000305435700
ტელ. 2931058.2309797.